



შპს ნიკორა ტრეიდი ობლიგაციების პრეზენტაცია

სარჩევი

✓ ობლიგაციების პირობები

- ✓ შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა
- ✓ ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა
- ✓ ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- ✓ დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები - შპს ნიკორა ტრეიდი
- ✓ დანართი 2: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა ჯგუფი

ობლიგაციების პირობები

ემიტენტი	შპს ნიკორა ტრეიდი
გარანტორი	სს ნიკორა
ობლიგაციების ტიპი	არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული ვალდებულება
განთავსების მოცულობა	5 მილიონი აშშ დოლარი
ობლიგაციის ხანგრძლივობა	2 წელი
სავარაუდო განთავსების თარიღი	თებერვალი 2016
კუპონი	10.5% - 11%
კუპონის გადახდა	ნახევარწლიური

სარჩევი

✓ ობლიგაციების პირობები

✓ შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა

✓ ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა

✓ ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია

✓ დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური
ანგარიშგებები - შპს ნიკორა ტრეიდი

✓ დანართი 2: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა
ჯგუფი

სწრაფად მზარდი ჯგუფი ძლიერი მენეჯმენტით

ნიკორა ტრეიდი წარმოადგენს საინტერესო საინვესტიციო შესაძლებლობას საქართველოში საცალო ვაჭრობის ბაზარზე მისი ლიდერის პოზიციის, ვერტიკალურად ინტეგრირებული ბიზნეს მოდელის და ზრდის პოტენციალის გათვალისწინებით

ნიკორა
ტრეიდი

1 ლიდერის პოზიცია ქვეყნის მასშტაბით

- **უმსხვილესი წილი ბაზარზე:** საქართველოს საცალო სასურსათო ბაზრის 26%-იანი წილი შემოსავლების მიხედვით (შპს ნუგემის სავაჭრო ქსელის შეძენის შემდგომ)
- **ფართო გეოგრაფიული დაფარვა:** 203 სხვადასხვა ფორმატის თანამედროვე მაღაზიების ქსელი წარმოდგენილია დედაქალაქის ყველა ძირითად უბანში და საქართველოს ყველა რეგიონში
- **მაღალი სტანდარტების დანერგვა სექტორში:** მომსახურების მაღალი ხარისხი, ძლიერი კორპორაციული მართვა, პროცესების სტანდარტიზაცია, საკუთარი ტრენინგ ცენტრი

2 ზრდის ძლიერი პოტენციალი

- **მომზივლელი მაკრო ეკონომიკა:** საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ქვეყანაა, ღია და მარტივი ბაზარი ბიზნესის კეთებისთვის, CAGR 5.9% მშპ- ზრდით 2004-13 წლებში
- **სავაჭრო ქსელების მოდერნიზაციის ტენდენცია:** შეინიშნება ტრადიციული ფორმატის სასურსათო მაღაზიების რაოდენობის კლება თანამედროვე სუპერმარკეტების გააქტიურების ფონზე.
- **შემდგომი გაფართოება:** ქსელის თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გაფართოების შესაძლებლობა როგორც ახალი მაღაზიების გახსნით, ასევე არსებული სუპერმარკეტების ქსელების შეძენით.

3 ძლიერი მენეჯმენტი

- **ადგილობრივი ბაზრის ღრმა ცოდნა**
- **ბიზნესის ძლიერი მენეჯმენტი და კორპორაციული მართვა**
- **ძლიერი და ხელშეწყობი მფლობელი:** სს ნიკორა შპს ნიკორა ტრეიდისა და 10-მდე კომპანიის 100% წილის მფლობელია, მათ შორისაა შპს ნიკორა - ლიდერი ხორცპროდუქტების წარმოებაში.

4 ინტეგრირებული ბიზნეს მოდელი

- **ვერტიკალური ინტეგრაცია:** შპს ნიკორა ტრეიდის გაყიდვების 36%-ს შეადგენს ჯგუფის სხვა კომპანიების მიერ ნაწარმოები/იმპორტირებული პროდუქცია.
- **უპირატესობა ხარჯებში:** სუპერმარკეტების ფართო ქსელი შპს ნიკორა ტრეიდს მნიშვნელოვან სავაჭრო ბერკეტს აძლევს მომწოდებლებთან ურთიერთობაში.


შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა

შპს ნიკორა ტრეიდი

- შპს ნიკორა ტრეიდი, დაარსებული 2010 წელს, სს ნიკორას 100%-იანი შვილობილია. ნიკორა ტრეიდის განმასხვავებელი ფაქტორებია:
 - ✓ ეფექტურად გადანაწილებული და ადვილად ხელმისაწვდომი მაღაზიები
 - ✓ მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება და მაღალკვალიფიციური მომსახურე პერსონალი
 - ✓ პროდუქციის შენახვის და ხარისხის კონტროლის მაღალი სტანდარტები
 - ✓ პროდუქციის არჩევანი მომხმარებლების ფართო წრისთვის
 - ✓ ადგილზე დამზადებული ჯანსაღი საკვები
 - ✓ პროდუქციის მუდმივად განახლებადი არჩევანი
- დღეის მდგომარეობით ნიკორა ტრეიდის ქსელში შედის 203 მაღაზია

მაღაზიის ფორმატები


მაღაზიების ფორმატები მრავალფეროვანია და წარმოდგენილია როგორც მცირე ზომის ჯიხურებით, ასევე დიდი ჰიპერმარკეტებით (400 კმ. სავაჭრო სივრცით)



საცალო სასურსათო ბაზრის მიმოხილვა

- ჯეოსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, საცალო ბაზარი (საკვები და არასაკვები პროდუქტები) მუდმივად იზრდება. ბოლო 5 წლის განმავლობაში ზრდამ 150%-ზე მეტი შეადგინა.
- ბაზრის გაფართოებასთან ერთად იზრდება თანამედროვე სუპერმარკეტების წილი ბაზარზე, ტრადიციული ბაზრისა და არაბრენდული მაღაზიების წილის კლების პარალელურად.
- ამჟამად 9 მსხვილი ორგანიზებული სასურსათო სავაჭრო ქსელია საქართველოსში (ნუგეშის ჩათვლით). მათი დიდი უმრავლესობა კონცენტრირებულია თბილისში.

ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის გადანაწილება, 2015



წყარო: ნიკორას კვლევის შედეგები

შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა

ნიკორა ტრეიდის ქსელის გაფართოვება 2010-2015 წლებში

მაღაზიების რაოდენობა	2010	2011	2012	2013	2014	2015- 3Q
წლის დასაწყისი	51	52	54	57	62	80
ტრანსფერი ჯგუფის კომპანიებისგან					7	21
ახალი მაღაზიების გახსნა	1	5	7	7	7	17
სუპერმარკეტების ქსელის შეძენა					7	93
მაღაზიების დახურვა		3	4	2	3	8
წლის ბოლო	52	54	57	62	80	203

ბოლოდროინდელი გაფართოების მოკლე მიმოხილვა

- **ტრანსფერი ჯგუფის კომპანიებისგან:** 2014 წლის მეორე კვარტალში შპს ნიკორა კახეთის ბალანსზე რიცხული მაღაზიები გადავიდა შპს ნიკორა ტრეიდის ბალანსზე.
- **„სანდის“ შესყიდვა:** 2014 წლის მეოთხე კვარტალში შპს ნიკორა ტრეიდმა შეიძინა სანდის სუპერმარკეტების ქსელი- 7 მაღაზია ზუგდიდში.
- **„ველესის“ შესყიდვა:** 2015 წლის პრიველ კვარტალში ნიკორა ტრეიდმა შეიძენა ველესის 5 მაღაზია თბილისში
- **დასავლეთში არსებული ნიკორას ჯგუფის სუპერმარკეტების ტრანსფერი:** 2015 წლის მეორე კვარტალში შპს ნიკორა 7-ის ბალანსზე რიცხული მაღაზიები გადავიდა შპს ნიკორა ტრეიდის ბალანსზე, რის შედეგადაც კომპანია გახდა ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი სუპერმარკეტების ქსელი დასავლეთ საქართველოში (32 მაღაზია)
- **„ნუგეშის“ შესყიდვა:** 2015 წლის მესამე კვარტალში ნიკორა ტრეიდმა შეიძინა შპს ნუგეშის 100%-იანი წილი და გახდა ყველაზე მსხვილი ქსელი ბაზარზე როგორც მაღაზიების რაოდენობის მიხედვით, ასევე გაყიდვების მოცულობით.

შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა

შპს ნუგეშის შესყიდვა

შპს ნიკორა ტრეიდმა შპს ნუგეში 2015 წლის მესამე კვარტალში შეიძინა. ნუგეშის მალაზიები ძირითადად თბილისშია და წარმოდგენილია ორი ძირითადი ბრენდით.

- „ნუგეში“ – მართავს 23 სუპერმარკეტს 3,017 კვ. მ. საერთო სავაჭრო სივრცით და 62 მცირე ზომის ჯიხურს (6 კვ. მ. სივრცით), სადაც იყიდება მხოლოდ პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტები
- „ლიბრე“ - ერთი დიდი სუპერმარკეტი 1,200 კვ. მ. სავაჭრო სივრცით

'000 ლარი	2014 A	2015 3Q -A
შემოსავლები	48,265	41,602
საერთო მოგება	7,877	7,574
საერთო მოგების მარჟა	16.3%	18.2%
EBITDA	399	836
EBITDA მარჟა	0.8%	2.0%
მალაზიების რაოდენობა	12	24
ჯიხურების რაოდენობა	67	62
ჯამური სავაჭრო სივრცე	2,568	3,390

სავაჭრო ქსელების შესყიდვებითა და ორგანული ზრდის შედეგად, შპს ნიკორა ტრეიდი საქართველოს საცალო ვაჭრობის ორგანიზებული ბაზარზე ლიდერის პოზიციას იკავებს, 203 სავაჭრო ობიექტით (62 ჯიხურის ჩათვლით) და დაახლოებით 18,000 კვ.მ. სავაჭრო სივრცით. კომპანია ინარჩუნებს „ნუგეშისა“ და „ლიბრეს“ ბრენდებს „ნიკორას“ ბრენდთან ერთად. აღნიშნული სტრატეგია კომპანიას საშუალებას აძლევს გავიდეს შემდეგ სეგმენტებზე:

- ✓ **ნუგეში** - შედარებით დაბალშემოსავლიანი სეგმენტი
- ✓ **ნიკორა** - საშუალოშემოსავლიანი სეგმენტი
- ✓ **ლიბრე** - დიდი სუპერმარკეტის ფორმატი

მოსალოდნელი სინერგიები

1. ფართო მასშტაბი საშუალებას აძლევს კომპანიას მოითხოვოს/მიიღოს უკეთესი ფასდაკლებები მომწოდებლებისგან
2. კომპანია გეგმავს სინერგიების განხორციელებას ნუგეშის გარკვეული ადმინისტრაციული ხარჯების ელიმინაციით
3. მოსალოდნელია ნიკორას ჯგუფის კომპანიების პროდუქციის გაყიდვების ზრდა ნუგეშის ქსელის დამატების ხარჯზე
4. ზემოთ აღნიშნულ დაშვებებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, რომ ნიკორა ტრეიდის გაყიდვები გაიზრდება დაახლოებით 247 მილიონ ლარამდე.

სარჩევი

- ✓ ობლიგაციების პირობები
- ✓ შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა
- ✓ ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა
- ✓ ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- ✓ დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები - შპს ნიკორა ტრეიდი
- ✓ დანართი 2: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა ჯგუფი

ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა

სს ნიკორა		
შპს ნიკორა თრეიდი <i>სუპერმარკეტების ქსელი</i>	100%	100%
შპს ინტრეიდი <i>საკვები და სასმელი პროდუქტების იმპორტი ევროპიდან</i>	100%	100%
შპს მულტიტრეიდი <i>გაყინული ხორცის იმპორტი (ნედლეული წარმოებისთვის)</i>	100%	100%
შპს ჩვენი ფერმერი <i>რძის პროდუქტებისა და ნაყინის წარმოება</i>	100%	80.5%
შპს კულინარი <i>მზა საკვები პროდუქტების წარმოება ნიკორა ტრეიდის სუპერმარკეტების ქსელისთვის</i>	50%	100%
შპს ნიკორა კახეთი <i>დისტრიბუციის ქსელი კახეთის რეგიონში</i>	100%	100%
შპს ნიკორა 7 <i>ხორცპროდუქტებისა და გაყინული ნახევარფაბრიკატების წარმოება და დისტრიბუცია დასავლეთ საქართველოში</i>	100%	
		შპს ნიკორა <i>ხორცპროდუქტებისა და გაყინული ნახევარფაბრიკატების წარმოება თბილისში</i>
		შპს პარტნიორი <i>დისტრიბუციის ქსელი თბილისში</i>
		შპს ოკეანე <i>თევზპროდუქტების იმპორტი და წარმოება</i>
		შპს აგია <i>საკალმახე</i>
		შპს მზარეული 1 <i>საკონდიტრო წარმოება</i>
		შპს ნაფარეულის ძველი მარანი <i>ვენახები</i>

ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა


ნიკორა ჯგუფი

- შპს ნიკორა, ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიაა, როელიც დაარსდა 1998 წელს. კომპანიის ძირითადი ბიზნეს მიმართულება ხორცპროდუქტების წარმოება იყო.
- ამჟამად ნიკორა ჯგუფს აქვს რამოდენიმე ბიზნეს მიმართულება:
 - ✓ ხორცპროდუქტებისა და გაყინული ნახევარფაბრიკატების წარმოება
 - ✓ სუპერმარკეტების ქსელი (შპს ნიკორა ტრეიდი)
 - ✓ მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტებისა და სასმელის იმპორტი ევროპის ქვეყნებიდან
 - ✓ რძის პროდუქტების და ნაყინის წარმოება
 - ✓ საკალმეხე და ხიზილალის წარმოება
- დასაქმებული პერსონალის რაოდენობა 3,700 ზე მეტია
- კომპანიას აქვს მლიერი სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა, როგორიცაა:
 - ✓ სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
 - ✓ უნარშეზღუდული პირების დახმარება
 - ✓ სხვა და სხვა სახის კულტურული და საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება
- შპს ნიკორა რეგულარულად ხვდება საქართველოში საკვები პროდუქტების საუკეთესო მწარმოებელთა სიაში და მიღებული აქვს მრავალი ჯილდო
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001:2008
- საკვების უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა ISO 22000:2005-HACCP

ეფექტური ბიზნეს მოდელი


- ნიკორა ჯგუფს შემუშავებული აქვს ვერტიკალური ინტეგრაციის ეფექტური მოდელი, რომელიც ხარჯების შემცირებისა და ბიზნესის ეფექტურობის გაზრდის საშუალებას იძლევა. კარგად ორგანიზებული სადისტრიბუციო ქსელი როგორც ნიკორას ქსელის, ასევე სხვა მაღაზიებს ამარაგებს ჯგუფის კომპანიების მიერ ნაწარმოები/იმპორტირებული პროდუქციით მთელი ქვეყნის მასშტაბით. სადისტრიბუციო პარკი შედგება 120 ავტომობილისგან.
- ქვემოთ მოცემული გრაფიკი პროცენტულ მაჩვენებელში გამოსახავს ჯგუფის კომპანიების გაყიდვებს ერთმანეთთან მიმართებაში.

ჯგუფის შიდა გაყიდვები




ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა


შემოსავლები 2012-2015A




EBITDA 2012-2015A



ჯგუფის კომპანიების გაყიდვების პროცენტული განაწილება



ჯგუფის კომპანიების EBITDA-ს პროცენტული განაწილება



* ჯგუფის კომპანიების გაყიდვების და EBITDA-ს პროცენტული განაწილება დაანგარიშებულია 2015 წლის მონაცემებით. უარყოფითი EBITDA-ს მქონე კომპანიების მონაცემები გრაფიკში არ არის გათვალისწინებული

სარჩევი

- ✓ ობლიგაციების პირობები
- ✓ შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა
- ✓ ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა
- ✓ **ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია**
- ✓ დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები - შპს ნიკორა ტრეიდი
- ✓ დანართი 2: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა ჯგუფი

ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია

ბიზნეს გეგმის დაშვებები

1	შემოსავლების ზრდა	2016	2017	2018
	ნიკორა ტრეიდი	19%	5%	3%
	ნიკორა - ხორცის წარმოება	17%	5%	3%
	ინტრეიდი	21%	5%	3%
	ოკეანე	13%	5%	3%
	ჩვენი ფერმერი	13%	5%	3%
	მულტიტრეიდი	1%	5%	3%
	ჯგუფის სხვა კომპანიები	18%	5%	3%
2	EBITDA მარჟა	2016	2017	2018
	ნიკორა ტრეიდი	4.1%	4.1%	4.1%
	ნიკორა - ხორცის წარმოება	22%	22%	22%
	ინტრეიდი	10%	10%	10%
	ოკეანე	8%	8%	8%
	ჩვენი ფერმერი	19%	19%	19%
	მულტიტრეიდი	3%	3%	3%
3	სხვა დაშვებები	2016	2017	2018
	USD/GEL გაცვლითი კურსი	2.5	2.5	2.5
	კაპიტალური დანახარჯები	GEL 1,500,000	GEL 1,500,000	GEL 1,500,000
	დივიდენდები (პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციებზე)	GEL 6,022,500	GEL 6,022,500	GEL 6,022,500

- გაკეთებულია დაშვება, რომ კომპანია გამოუშვებს 5 მილიონი დოლარის ოდენობის ობლიგაციებს, 11%-იანი კუპონით, ნახევარწლიური გადახდებით.
- ასევე ვუშვებთ, რომ სს საქართველოს ბანკთან არსებული გრძელვადიანი ურთიერთობის გათვალისწინებით, ჯგუფი შეძლებს დამატებითი დაფინანსება მოიპოვოს ბანკისგან სესხის სახით, საჭიროების შემთხვევაში.


ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია

	2014A	2015A	2016F	2017F	2018F
შემოსავლები (მილიონი ლარი)	162	252	295	310	319
ნიკორა ტრეიდი	99	162	247	260	268
ნუგეში	-	45	-	-	-
ხორცპროდუქტების წარმოება	56	58	66	70	72
ინტრეიდი	6	9	11	11	12
ოკეანე	7	8	9	10	10
ფერმერი	3	2	3	3	3
მულტიტრეიდი	32	25	25	26	27
სხვა კომპანიები (მინუს ჯგუფის შიდა ტრანზაქციები)	(42)	(56)	(66)	(70)	(72)
საერთო მოგება	48	72	89	93	96
ნიკორა ტრეიდი	22	36	56	58	60
ნუგეში	-	8	-	-	-
ხორცპროდუქტების წარმოება	15	16	19	20	20
ინტრეიდი	2	2	3	3	3
ოკეანე	1	1	2	2	2
ფერმერი	1	0	1	1	1
მულტიტრეიდი	2	1	1	1	1
სხვა კომპანიები (მინუს ჯგუფის შიდა ტრანზაქციები)	5	7	8	8	9
საერთო მოგების მარჟა (ჯამური)	30%	29%	30%	30%	30%
EBITDA	17	17	28	29	30
ნიკორა ტრეიდი	4	1	10	11	11
ნუგეში	-	1	(0)	(0)	(0)
ხორცპროდუქტების წარმოება	12	13	15	16	16
ინტრეიდი	0	1	1	1	1
ოკეანე	1	0	1	1	1
ფერმერი	1	0	1	1	1
მულტიტრეიდი	1	1	1	1	1
სხვა კომპანიები (მინუს ჯგუფის შიდა ტრანზაქციები)	(2)	(0)	0	0	0
EBITDA მარჟა (ჯამური)	10%	7%	10%	10%	10%

ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია

ნიკორა ჯგუფის შემოსავლების ზრდის ძირითადი ფაქტორები 2016 წელს


მილიონი ლარი



- შპს ნიკორა ტრეიდი** ყველაზე დიდ როლს თამაშობს ჯგუფის შემოსავლების ზრდაში 2016 წელს. დაგეგმილია ნიკორა ტრეიდისა და ნუგეშის ჯამური გაყიდვების ზრდა 207 მილიონი ლარიდან 2015 წელს 247 მილიონ ლარამდე 2016 წელს, რაც 19%-იან ზრდას გულისხმობს.
- ხორცის წარმოებისთვის** მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი იყო სადისტრიბუციო არეალის გაფართოება ნუგეშის შემოერთების შედეგად. დაგეგმილია 17%-იანი ზრდა შპს ნიკორასა და შპს ნიკორა 7-ის ჯამურ შემოსავლებში.
- უმნიშვნელო შემცირება ან გაყიდვების ისტორიულ დონეზე შენარჩუნებაა მოსალოდნელი ჯგუფის სხვა კომპანიებისთვის, რასაც, მოსალოდნელია რომ, დაახლოებით 7 მილიონი ლარის უარყოფითი ეფექტი ექნება ჯამურ გაყიდვებზე.

ნიკორა ჯგუფის EBITDA -ს ზრდის ძირითადი ფაქტორები 2016 წელს

მილიონი ლარი




- ნიკორა ტრეიდის EBITDA-ს** ზრდაა მოსალოდნელი საერთო მოგების მარჟის გაუმჯობესებისა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის ხარჯზე. ნიკორა ტრეიდისა და ნუგეშის ჯამური EBITDA-ს ზრდა დაგეგმილია 2 მილიონი ლარიდან 2015 წელს 10 მილიონ ლარამდე 2016 წელს.
- ხორცის მწარმოებელი კომპანიების** ჯამური EBITDA დაგეგმილია რომ გაიზარდოს შემოსავლების ზრდის ხარჯზე.
- უმნიშვნელო ზრდა ან EBITDA ისტორიულ დონეზე შენარჩუნებაა მოსალოდნელი ჯგუფის სხვა კომპანიებისთვის, რასაც, მოსალოდნელია რომ, დაახლოებით 1 მილიონი ლარის პოზიტიური ეფექტი ექნება ჯამურ გაყიდვებზე.

ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია

ნიკორა ტრეიდის შემოსავლების ზრდის ძირითადი ფაქტორები 2016 წელს

მილიონი ლარი



1. შემოსავლების 12 მილიონი ლარით ზრდა დაგეგმილი იმ მალაზიებისთვის, რომლებიც 2015 წლამდე მუშაობდნენ.
2. შემოსავლების 15 მილიონი ლარით ზრდა დაგეგმილი იმ მალაზიებისთვის, რომლებიც 2015 წლის განმავლობაში გაიხსნა.
3. შემოსავლების 9 მილიონი ლარით ზრდა დაგეგმილი ნუგეშის სუპერმარკეტებისთვის.
4. შემოსავლების 2 მილიონი ლარით ზრდა დაგეგმილი ნუგეშის ჯიხურებისთვის ჯამურად.
5. 2 მილიონი ლარით ზრდა დაგეგმილი რეტრო ბონუსებისთვის, რომელიც გამოითვლება გაყიდვების მოცულობიდან და შესაბამისად იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია

ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი

ბიუჯეტირებული ფულის მოძრაობის ანგარიშგება, '000 ლარი	2016	2017	2018
ფულადი მოძრაობა ოპერაციებიდან			
საოპერაციო ფულადი შემოსავლები	294.0	308.7	318.0
საოპერაციო ფულადი ხარჯები	(276.8)	(288.9)	(295.5)
წმინდა ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	17.2	19.8	22.4
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან			
საინვესტიციო ფულადი შემოსავლები	-	-	-
საინვესტიციო ფულადი ხარჯები	(1.5)	(1.5)	(1.5)
წმინდა ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან	(1.5)	(1.5)	(1.5)
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან			
შემოსავალი ობლიგაციების გამოშვებიდან	12.5	-	-
ბანკის სესხის მიღება	-	3.2	-
ბანკის სესხის ძირითადი თახის დაფარვა	(18.8)	(6.9)	(7.2)
ობლიგაციების გამოსყიდვა	-	(12.5)	-
დივიდენდის გაცემა პრივილეგირებულ აქციებზე	(3.0)	(3.0)	(3.0)
დივიდენდის გაცემა ჩვეულებრივ აქციებზე	(3.0)	(3.0)	(3.0)
წმინდა ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(12.3)	(22.2)	(13.2)
წმინდა ფულადი შემოსავლები	3.5	(3.9)	7.7
ფული პერიოდის დასაწყისში	1.0	4.5	0.5
ფული პერიოდის ბოლოს	4.5	0.5	8.3

სესხის მომსახურების კოეფიციენტის გაანგარიშება

მილიონი ლარი	2016	2017	2018
ფული პერიოდის დასაწყისში	1.0	4.5	0.5
წმინდა ფულადი შემოსავალი	30.2	23.1	20.4
სესხის მომსახურებისთვის	31.2	27.6	20.9
ხელმისაწვდომი ფულადი სახს.	26.8	27.0	12.7
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.2	1.0	1.7

ლევერიჯის კოეფიციენტის გაანგარიშება

მილიონი ლარი	2015	2016	2017	2018
სასესხო ვალდებულება	76.8	57.6	41.5	35.2
ფული	1.0	4.5	0.5	8.3
წმინდა სასესხო ვალდებულება	75.8	53.1	41.0	26.9
ბიუჯეტირებული EBITDA	16.9	28.2	29.6	30.5
სასესხო ვალდ./EBITDA	4.48	1.89	1.39	0.88

სს ნიკორას 13 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პრივილეგირებული აქციები აქვს გამოშვებული, რომელზეც წლიური 10%-ის ოდენობის დივიდენდს იხდის ყოველთვიურად. აღნიშნულის გათვალისწინებით ლევერიჯის კოეფიციენტები იცვლება შემდეგნაირად:

	2015	2016	2017	2018
სასესხო ვალდ./EBITDA	6.40	3.04	2.49	1.95

შენიშვნა: USD/GEL გაცვლითი კურსი 2.5

Table of Contents

- ✓ ობლიგაციების პირობები
- ✓ შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა
- ✓ ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა
- ✓ ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- ✓ დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები - შპს ნიკორა ტრეიდი
- ✓ დანართი 2: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა ჯგუფი

შპს ნიკორა ტრეიდის ისტორიული მოგება - ზარალის ანგარიშგება

- შპს „ნიკორა ტრეიდის“ 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების (IASB) და საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (IASB) ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები აუდირებულია დამოუკიდებელი აუდიტორის- ფი ქეი ეფ ჯორჯიას მიერ.
- აუდიტის დასკვნა - qualified opinion.** დასკვნის საფუძველი: გამომდინარე იქიდან, რომ ხანგრძლივი პერიოდია გასული პირველი აუდირებული ბალანსის თარიღიდან (31 დეკემბერი, 2012), აუდიტორი თვლის, რომ არ არსებობს შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობა 2012 წლის 31 დეკემბრის ბალანსში წარმოდგენილი მატერიალური აქტივების/პასივების დასადასტურებლად.
- მოცემული რიცხვები მოიცავს ნუგუმის მონაცემებს 2015 წლიდან.

'000 ლარი	2013-აუდირებული	2014-აუდირებული	ცვლილება	ცვლილება %	2015-არააუდ.	ცვლილება	ცვლილება %
შემოსავალი გაყიდვიდან	77,688	95,911	18,223	23%	154,978	59,067	62%
სხვა შემოსავალი	3,044	3,296	252	8%	6,568	3,273	99%
სულ შემოსავალი	80,733	99,207	18,474	23%	161,547	62,340	63%
რპთ	-62,369	-77,233	-14,864	24%	-125,513	-48,280	63%
საერთო მოგება	18,364	21,974	3,610	20%	36,033	14,060	64%
საერთო მოგების მარჟა	22.75%	22.10%			22%		
საოპერაციო მოგება	4,285	3,793	-491	-11%	941	-2,852	-75%
საოპერაციო მოგების მარჟა	6%	4%			0.6%		
წმინდა მოგება	23,637	11,704	-11,933	-50%	-6,268	-74,385	-636%

შემოსავალი / მომგებიანობის მარჟები: ნიკორა ტრეიდი 62 მაღაზიას მართავდა 2013 წელს, 80 მაღაზიას 2014 წელს და 117 მაღაზიას 2015 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის (ნუგუმის მაღაზიების ჩათვლით) კომპანიის გაფართოება აისახა შემოსავლის ზრდაში (2015 წლის გაყიდვები წინა წელთან შედარებით 63%-ითაა გაზრდილი). მიუხედავად ამისა, საოპერაციო მოგების მარჟა შემცირებულია. ახლად გახსნილი მაღაზიების გაყიდვები პირველი 3-5 თვის განმავლობაში იზრდება და აღწევს საშუალო მაჩვენებელს, მაშინ როცა ფიქსირებული საოპერაციო ხარჯები გახსნისთანავე წარმოიქმნება, რაც ხსნის EBITDA-ს მკვეთრ შემცირებას გაყიდვების ზრდის მოხედვად. კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მომგებიანობის მარჟები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პოტენციური სინერგიის ეფექტების რეალიზების შემდეგ.

საოპერაციო მოგება: საოპერაციო მოგების მკვეთრი შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო საერთო მოგების მარჟის შემცირებითა და სახელფასო და საიჯარო დანახარჯების ზრდით. საოპერაციო ხარჯების ზრდა გამოწვეული იყო ახალი მაღაზიების გახსნით, და ლარის გაუფასურებით დოლართან მიმართებაში, რადგან საიჯარო ხელშეკრულებების დიდი ნაწილი დაფიქსირებულია დოლარში. მას შემდეგ, რაც ახლად გახსნილი მაღაზიები მიაღწევნ გაყიდვების მაქსიმალურ დონეს, მოსალოდნელია საოპერაციო მოგების ზრდა.

წმინდა მოგება: წმინდა მოგების მნიშვნელოვანი კლება გამოწვეულია საპროცენტო და ცვეთის ხარჯების ზრდით და სავალუტო გადაფასებით.

შპს ნიკორა ტრეიდის ისტორიული საბალანსო ანგარიშგება

'000 ლარი	31-დეკ-14-აუდირებული	31-დეკ-13-აუდირებული	31-დეკ-12-აუდირებული	31-დეკ-2015 არააუდირ.
სულ აქტივები	10,615	12,998	18,265	78,655
ძირითადი საშუალებები	5,642	7,072	8,402	18,826
% წილი ჯამურ აქტივებში	53%	54%	46%	24%
სასაქონლო მარაგები	3,519	3,975	5,598	14,360
% წილი ჯამურ აქტივებში	33%	31%	31%	18%
სხვა აქტივები	1,455	1,951	4,266	45,469
% წილი ჯამურ აქტივებში	14%	15%	31%	58%
სულ ვალდებულებები	8,116	9,673	15,866	63,940
სასესხო ვალდებულებები	2,731	3,103	5,361	40,024
% წილი ჯამურ ვალდებულებებში	34%	32%	34%	63%
კრედიტორული დავალიანება	4,545	5,444	8,228	25,337
% წილი ჯამურ ვალდებულებებში	56%	56%	52%	40%
სხვა ვალდებულებები	839	1,126	2,278	(1,421)
% წილი ჯამურ ვალდებულებებში	10%	12%	31%	-2%
კაპიტალი	2,500	3,325	2,399	14,714

კომენტარები:

ნიკორა ტრეიდი ბოლო 2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად დაღვევრიჯებული არ ყოფილა, თუმცა ბოლოდროინდელი გაფართოებების შედეგად ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015 წლის პირველ ნახევარში. სესხები გამოყენებულ იქნა ნუგეშის სუპერმარკეტების ქსელის შესაძენად და ახალი მაღაზიების გასახსნელად.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შოპ ნიკორა ტრეიდის ვალდებულება საქართველოს ბანკის მიმართ 40 მილიონ ლარს შეადგენდა.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილი მთლიანი აქტივების 49%-ს შეადგენს, რომელიც ბალანზე აკუმულირდა შპს ნუგეშის შესყიდვის შედეგად.

Table of Contents

- ✓ ობლიგაციების პირობები
- ✓ შპს ნიკორა ტრეიდის მიმოხილვა
- ✓ ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა
- ✓ ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- ✓ დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები
- შპს ნიკორა ტრეიდი
- ✓ დანართი 2: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა ჯგუფი

ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები - ნიკორა ჯგუფი

ბოლო 14 წლის განმავლობაში სს ნიკორას ლიდერული პოზიციები უკავია ადგილობრივი საკვები პროდუქტების ბაზარზე. ბიზნესი დაიწყო საკვები პროდუქტების წარმოებით და სწრაფად გაფართოვდა სხვა და სხვა მიმართულებებით. სს ნიკორა შპს ნიკორა თრეიდის ობლიგაციების გარანტორია.

სს ნიკორას ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თუმცა ანგარიშგებები არ არის აუდირებული დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეფუძნება მენეჯმენტის ანგარიშგებებს.



'000 ლარი	2013	2014	2015
შემოსავალი	134,876	161,654	252,259
რპთ	90,809	111,828	180,311
საერთო მოგება	44,067	49,825	71,948
საერთო მოგების მარჟა	33%	31%	29%
EBITDA	16,763	18,226	16,922
EBITDA მარჟა	12%	11%	7%

'000 ლარი	31-დეკ-2013	31-დეკ-2014	31-დეკ-2015
სულ აქტივები	73,293	81,082	145,271
სულ ვალდებულებები	39,468	40,806	96,008
სასესხო ვალდებულებები	23,626	24,734	65,402

- ნიკორა ჯგუფის სასესხო დავალიანება (გარანტიებისა და აკრედიტაციების ჩათვლით) 68.7 მილიონ ლარს შეადგენს. ჯგუფზე დამტკიცებული და ასათვისებელი სესხების ოდენობა (საკრედიტო ხაზები, ოვერდრაფტები, ფიქსირებული კრედიტები) დაახლოებით 6.9 მილიონი ლარია, რასი ათვისებაც 2016 წლის განმავლობაში მოხდება ეტაპობრივად.
- სს „ნიკორას“ 13 მილიონი აშშ დოლარის დოენობის პრივილეგირებული აქციები აქვს გამოშვებული, რომელზეც წლიური 10%-ის ოდენობის დივიდენდს იხდის ყოველთვიურად.

ისტორიული ფინანსური ინფორმაცია - ძირითადი კოეფიციენტები

საერთო მოგების & EBITDA მარჟები



სასესხო ვალდებულება/EBITDA

	2012	2013	2014	2015
ნიკორა ჯგუფის სესხები/EBITDA	1.79	1.41	1.36	3.86
ნიკორა ტრეიდის სესხები/EBITDA	1.26	0.72	1.76	20.86

- 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სასესხო დავალიანება 68.7 მილიონი ლარია. ჯგუფს ასევე გამოშვებული აქვს 32.5 მილიონი ლარის ოდენობის პრივილეგირებული აქციები.
- 2015 წლის 31 დეკემბერს ნიკორა ტრეიდის ვალდებულებები ბანკის მიმართ 40 მილიონი ლარია.
- ნიკორა ტრეიდის მენეჯმენტის გათვლით კომპანიის EBITDA 2016 წელს 10.14 მილიონ ლარამდე გაიზრდება, რაც ლევერიჯის კოეფიციენტს 3.9-მდე ამცირებს.
- ჯგუფის EBITDA 2016 წელს 28 მილიონ ლარზე დაგეგმილი. პრივილეგირებული აქციების გთვალისწინებით სესხების შეფარდება EBITDA -სთან 2016 წლის ბილოს 3.04 იქნება.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

წინამდებარე პრეზენტაცია და მასში მოყვანილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, წარმოადგენს შპს „ნიკორა ტრეიდის“ (შემდგომში „კომპანია“) საკუთრებას და აკრძალულია მისი სრულად ან ნაწილობრივ რეპროდუქცია, დისტრიბუცია, გადაცემა, ან მასში მოყვანილი ინფორმაციის რაიმე სხვა ფორმით გავრცელება მესამე პირზე პირდაპირ ან ადაპირდაპირ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი წარმოადგენს ინვესტორის პროფესიონალ მრჩეველს), ან გამოქვეყნება სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიზნით კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუ წინამდებარე პრეზენტაციის მიღება მოხდა შეცდომით, მისი დაბრუნება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. წინამდებარე პრეზენტაციის მიმღებმა პირებმა, მასში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ უნდა განახორციელონ ინვესტიციასთან ან პროდუქტთან დაკავშირებული ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას მოახდენს ბაზარზე ვიდრე აღნიშნული ინფორმაცია არ გახდება საზოგადოდ ხელმისაწვდომი. ამასთან, პრეზენტაციის მიმღები პირების მხრიდან დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც გავლენას იქონიებს ბაზარზე.

პრეზენტაციაში აღნიშნული ფასიანი ქაღალდები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით, და არ იქნება შეთავაზებული ან გაყიდული ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში ან ამერიკის მოქალაქეებზე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „ა“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფასიანი ქაღალდები რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით ან განთავსებულია რეგისტრაციის ვალდებულებისგან. ემიტენს ფასიანი ქაღალდები არ დაურეგისტრირებია და არ აპირებს დაურეგისტრიროს ან განახორციელოს საჯარო შეთავაზება არანაირი ოდენობით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეს კომუნიკაცია განკუთვნილია ა) პირისთვის, რომელიც იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ბ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება. ნებისმიერი საინვესტიციო აქტივობა, რომელსაც ეხება წინამდებარე კომუნიკაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამისი პირებისთვის. ნებისმიერი პირი რომელიც არ არის შესაბამისობაში ზემოთ მოყვანილ შეზღუდვებთან არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს ან იმოქმედოს ამ კომუნიკაციის შესაბამისად.

წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, და შესაძლოა არ მოიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რაც საჭირო ან სასურველია კომპანიის სრულად და ჯეროვნად შესაფასებლად. დოკუმენტი არ მოიცავს ყიდვის ან/და გაყიდვის შეთავაზებას, ამასთან, პრეზენტაციაში მოყვანილი ფასიანი ქაღალდები არ იქნება შეთავაზებული იმ იურისდიქციებში, სადაც ამგვარი შეთავაზება იქნებოდა უკანონო წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ფასიანი ქაღალდები არ არის განთავსებული რეგისტრაციის ან დამატებითი კვალიფიკაციის მინიჭებისგან ასეთი იურისდიქციის მიერ. წინამდებარე ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული როგორც რეკომენდაცია კომპანიის ან სს „გალთ ენდ თაგარტის“ (შემდგომში „პროექტის მენეჯერი“), ან მათთან დაკავშირებული პირის (ამ ინფორმაციის მიმღები პირის ჩათვლით) მიერ, რომელიც მონაწილეობას იღებს კომპანიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტრანზაქციაში.

პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია არ არის დადასტურებული დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ არც კომპანიის, არც პროექტის მენეჯერისა და არც მათთან დაკავშირებული პირის დავალებით. არანაირი გარანტია არ არის გაკეთებული წარმოდგენილი ინფორმაციის ან მოსაზრებების სისწორეზე, სიზუსტეზე და აკურატულობაზე. არც კომპანია, არც მისი რომელიმე წარმომადგენელი და არც პროექტის მენეჯერი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზარალზე, რომლის წარმოქმნაც შესაძლოა რაიმენაირად კავშირში იყოს ამ პრეზენტაციასთან.

წინამდებარე პრეზენტაციაში მოყვანილი დამატებები და განცხადებები არის მხოლოდ შეხედულებები და სამომავლო გათვლები კომპანიის შესახებ. მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ხშირად შეიცავს ისეთ სიტყვებს როგორებიცაა: მოსალოდნელია, ჯერა, ვარაუდობს, არსებობს აზრი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი. ეს სიტყვები ასახავენ კომპანიის ამჟამინდელ ხედვას სამომავლო მოვლენების შესახებ, რომლებიც თავისთავად შეიცავენ რისკს და გაურკვევლობას. არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსალოდნელი განვითარების კურსი, ასეთი ფაქტორებია მაგალითად რეგულაციების ცვლილება, ბაზარზე გაზრდილი კონკურენცია, შესყიდვებისგან წარმოქმნილი რისკები, საპროცენტო და სავალუტო რისკები ან ისტორიული ვალდებულებებისგან წარმოშობილი რისკები და სასამართლო რისკები. არც კომპანია და არც მისი მენეჯმენტი არ არის პასუხისმგებელი პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებების აკურატულობაზე ან პროგნოზირებული მოვლენების უტყუარ განხორციელებაზე.

აქ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია პრეზენტაციის მომზადების მომენტისთვის კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. გარე ან სხვა ფაქტორებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს კომპანიის ბიზნესს საქმიანობაზე და პრეზენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე პრეზენტაციის მომზადებდან დღემდე. ამასთან, შესაძლოა კომპანიასთან დაკავშირებული ყველა რელევანტური ინფორმაცია არ იყოს წარმოდგენილი ამ პრეზენტაციაში.

არც კომპანია, არც პროექტის მენეჯერი და არც რომელიმე დაკავშირებული პირი არ იღებს ვალდებულებას დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე ან წინამდებარე პრეზენტაციის განახლებაზე.